ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 20 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში'' (მისამართი ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშრებით.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) პროექტებს. (იხ.სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდი www.ajaratv.ge). ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინიტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პრორამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლით წერილობით წარმოადგინოთ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ში. (მის: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) ან გამოაგზავნოს შემდეგ მისამართზე ajaratvboard@gmail.com ოცი სამუშაო დღის განმავლობაში. (2020 წლის 22 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით).

პირი უფლებამოსიალია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშრებით სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს სხდომა (ზეპირი მოსმენა) ჩატარდება არაუგვიანეს 2020 წლის 19 ივნისისა, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის, რადიოს და

ონლაინ მედიის ნაწილში) განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართელბრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 დღის ვადაში.